

ოქმი N6

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა

ქალაქი ხოზი

2017 წლის 15 მარტი

15 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრე არჩაია - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. მამუკა ბუკია - წევრი;
3. ლელა კიტია - წევრი;
4. თეა სოსელია - წევრი;
5. ჯონი ფარცვანია - წევრი
6. ბელა ქვარცხავა - წევრი, მდივანი;
7. იგორ ქირია - წევრი;
8. ნატო ცხადაია - წევრი;
9. ნანი ღვინჯილია - ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი;
10. ბესიკ ნაჭყებია - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხოზის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

- I. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.  
(მომხსენებელი - ბ. ნაჭყებია; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხოზის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.  
(მომხსენებელი - ბ. ნაჭყებია; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხოზის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი).

მომხსენებელმა, საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. მომხსენებლის განმარტებით, აზიური ფაროსანა (იგივე აზიური ბაღლინჯო, ლათ.: *Halyomorpha halys*) წარმოადგენს მავნებელ მწერს, რომელიც იკვებება მასპინძელი მცენარეებით. მავნებელი საქართველოში პირველად 2015 წელს გამოჩნდა. მისი სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა. მწერმა 2016 წლის სეზონზე თბილისის მოსავლის მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. თბილის გარდა, ბაღლინჯო აზიანებს თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის სხვადასხვა სახეობას, კენკროვნებს, ბოსტნეულ კულტურებს; განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ატამს, ვაშლატამას, ვაშლს, მსხალს, ჟოლოს, პომიდორს, წიწაკას, მზესუმზირასა და სიმინდს. მავნებლის ძლიერი აფეთქების დროს ზარალმა შესაძლოა, მოსავლის ღირებულების 70%-იც კი შეადგინოს. მცენარით კვებას ფაროსანა გაზაფხულზე (აპრილის ბოლოს-მაისიდან) იწყებს და გვიან შემოდგომამდე აგრძელებს. მავნებელი იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით; ძლიერი ხორთუმიან შემეგობით ხერვტს ახალშემოსული თბილის ნაჭუქს, ათხელებს ნაყოფის შიგთავსს, წოვს და მასში წარმოქმნის კორპისებრ ლპობად ლაქებს. მავნებელი გადასაზამთრებლად შედის საცხოვრებელ ბინებში. მვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარებისა და ფანჯრის ღრიტოებში; ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფულუროებში. იძინებს აპრილამდე.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო სამი ძირითადი მიმართულებით განახორციელებს:

1. ჩატრადება სრულმასშტაბიანი მონიტორინგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

დასავლეთ საქართველოში განისაზღვრება მავნებლის გავრცელების არეალი და დადგინდება ქიმიური შესხურების ზუსტი თარიღი. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კი - მონიტორინგი მავნებლის შესაძლო გავრცელების შესასწავლად ჩატრადება, მონიტორინგის ფარგლებში, დაგეგმილია, აგრეთვე, სპეციალური დამჭერი ხაფანგების (ფერომონების) განთავსება.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, ქიმიური წამლობა.

1. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო შეისყიდის შესაბამის პრეპარატს და ტექნიკას, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. მავნებლის გავრცელების კერებში შეწამვლით სამუშაოებს ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული ჯგუფები განახორციელებს, რომლებსაც წინასწარ ჩაუტრადებათ შესაბამისი სწავლებები.
2. მოსახლეობისთვის აზიური ფაროსანას შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განხორციელდება აქტიური საინფორმაციო კამპანია, მავნებლის ინტენსიური გავრცელების რეგიონებში, შეიქმნება საკოორდინაციო შტაბები; იმუშავებს ცხელი ხაზი, ასევე მუდმივად

განახლებადი ვებგვერდი, სადაც განთავსდება მავნებლის გავრცელების ელექტრონული რუკა.

**აზრი გამოთქვას:** მრჩვეელთა საბჭოს წევრები დაინტერესდნენ - მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებში ადგილობრივი მოსახლეობის როლით;

**ბ. ნაჭყებია** - განმარტა, რომ მოსახლობამ გამოსაზამთრებლად თავმჯდომარეობის მავნებლები უნდა შეაგროვოს და მექანიკურად განადგუროს. მოზამთრე პერიოდში ერთი ფაროსანას განადგურება ნიშნავს მომავალი სეზონისთვის 200-მდე ახალი ფაროსანას განადგურებას. ხეხილისა და თხილის ბაღებში მაისიდან უნდა ჩატარდეს ყოველკვირეული დაკვირვება მასპინძელ მცენარეებზე.

- **ნ. ღვინჯილია** - განმარტა, რომ პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია დაცვის ინდივიდუალური საშუალებები - სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, რესპირატორი, აირწინალი, დამცავი სათვალე და ხელთათმანი! შესხურებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვების მიღება. პესტიციდების გამოყენების წინ დახურეთ სასმელი წყლის ჭები, დაამწყვდიეთ ფრინველი, საქონელი, შეზღუდეთ ფუტკრის ფრენა!
- შეწამლული პროდუქტის საკვებად გამოყენება დაუშვებელია წამლობიდან 18-20 დღის განმავლობაში!
- წამლობა ტარდება უქარო ამინდში დილას ან საღამოს, ან ღრუბლიან ამინდში შუადღის საათებში!
- არ შეიძლება ქიმიური პრეპარატების გამოყენება ღია წყალსაცავებისა და წყალსატევების სიახლოვეს.

**აზრი გამოთქვას:** ალექსანდრე არჩაია - დაინტერესდა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მიმართულებებით, კერძოდ თუ რა წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებს.

**დ. ჭოჭუა** - განაცხადა, რომ წინა წლების მსგავსად, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სოციალური სფერო წარმოადგენს.

**ბ. ქვარცხავა** - დაინტერესდა თუ რა რაოდენობის თანხა გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაფინანსებლად.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

გადაწყვეტილება მიღებულია

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე



ალექსანდრე არჩაია